დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი № 5

ქ. დმანისი 11 მაისი 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომას ესწრებოდა:

1. პაატა ყულიაშვილი
2. რამიზ რამაზანოვი
3. ოლეგი გოშუანი
4. აზერ ალიევი
5. ილია სარსევანიძე
6. სოფიო ასლამაზაშვილი
7. ლერი ბერუაშვილი
8. მურაზი აბრამიშვილი
9. მაკა ასლანიშვილი
10. მაკა ოკმელაშვილი
11. შალვა ღამბარაშვილი
12. მიხეილ დაუთაშვილი
13. შახინ კოიალოვი
14. გამლეტ ისმაილოვი
15. სტამბულ ისაევი
16. ნატიგ ოვჩიევი
17. ემილ იბრაგიმოვი
18. შოთა აკობაშვილი
19. კახა ოქრიაშვილი
20. კახა დევნოზაშვილი
21. გუმბათ იუსუბოვი
22. გუსეინ ისმაილოვი
23. თორნიკე ნინიაშვილი
24. მერაბი ფოლადიშვილი

სხდომას აგრეთვე ესწრებოდა : დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი თემურ ტატულაშვილი, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი ლევან მანთაშაშვილი, სოფ. ირგანჩაის სამოქალაქო განათლების პედაგოგი ნატა კვარაცხელია სოფ. ირგანჩაის სკოლის მოსწავლეები.
სხდომის მდივანი: ლომა გადრანი

სხდომა დაიწყო: 12. 00
სხდომა დასრულდა: 15. 40

დღის წესრიგი:

1	**დადგენილება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

2	**დადგენილება:** „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**მ.ასლანიშვილი**

3	**განკარგულება:** დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ
მომხსენებელი:	**თ.ტატულაშვილი**

4	**განკარგულება:** ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე”დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №გ-109.109230584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
მომხსენებელი:	**ლ. მანთაშაშვილმა**

სხდომის თავმჯდომარემ პაატა ყულიაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დღის წესრიგი, რომელსაც ერთახმად დაუჭირეს მხარი

1.მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა დადგენილების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 8 დეკემბრის N 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ„ განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის #787 განკარგულების საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობამ შეადგინა 2.530.020,00 ლარი ნაცვლად 2.520.998,00 ლარის. ზრდამ შეადგინა 9.022,00 ლარი, რაც ასახული იქნება გადასახდელების 02_03_03 ორგანიზაციული კოდი „კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში. ამავე ორგანიზეციულ კოდში და მუხლში, 02_04_01 ორგანიზაციულ კოდის „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან, გადატანილი იქნას 11.275,00 ლარი. აღნიშნული მუხლი განისაზღვრება 20.297,00 ლარის ოდენობით.

ორგანიზაციულ კოდში 03_01_01 ა(ა)იპ „დმანისის სერვის ჯგუფი“ „სუბსიდიები“-ს მუხლიდან გადატანილი იქნას „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლში 24.300,00 ლარი.

ორგანიზაციულ კოდში 02_07 „საპროექტო დოკუმენტაციის და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან გადატანილი იქნას:

8.900,00 ლარი - ამავე ორგანიზაციული კოდის „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლში;

800,00 ლარი - ამავე ორგანიზაციული კოდის „სხვა ხარჯები“-ს მუხლში;

ორგანიზაციულ კოდში 02_04_01 „მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია“-ს „არაფინანსური აქტივების ზრდა“-ს მუხლიდან გადატანილ იქნას 40.300,00 ლარი „სხვა ხარჯები“-ს მუხლში.

ორგანიზაციულ კოდში 04_02_02 „პროფესიულ სტუდენთა სელშეწყობა“ „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლიდან გადატანილ იქნას „სხვა ხარჯები“-ს მუხლში 8.000,00 ლარი.

ამრიგად, დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის „შემოსულობების“ და „გადასახდელების“ მოცულობა განისაზღვროს 27.460,5 ათასი ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტები.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

2. მომხსენებელი : მაკა ასლანიშვილი საკრებულოს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის №3-14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. დადგენილების მიღების საფუძველი:

ა) საქართველოს კანონი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დოკუმენტის ნომერი: 2483-Xრს-Xმპ,

მიღების თარიღი: 22.12.2022, სარეგისტრაციო ნომერი: 020000000.05.001.020770);

ბ)

ბ) საქართველოს კანონის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“

242-ე მუხლის მე-3 1 ნაწილი - ამ კოდექსის 55 2 , 55 5 , 55 6 , 150 2 , 150 3 , 151 1 , 152-ე,

152 3 –152 9 და 153 4 მუხლებით, 153 6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 ნაწილებით, 153 9 ,

158 3 და 158 4 მუხლებით, 158 5 მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებითა და 159-ე და

159 1 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ჩადენის შემთხვევაში სამართალდამრღვევს გამოეწერება საჯარიმო ქვითარი,

რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.“.

2. დადგენილების მიღების მიზანი:

დადგენილების მიზანია „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე, „საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების

გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23

თებერვლის N3-14 დადგენილებაში საქართველოს კანონის „ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დოკუმენტის ნომერი: 2483-Xრს-Xმპ, მიღების თარიღი: 22.12.2022, სარეგისტრაციო ნომერი: 020000000.05.001.020770) განხორციელებული ცვლილებების ასახვა, ასევე დადგენილების პროექტი ითვალისწინებს ამავე კოდექსის 242-ე მუხლის შესაბამისად გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე რეაგირების მიზნით, პროექტი ითვალისწინებს საჯარიმო ქვითრის, ამ ქვითრის რეგისტრაციის ჟურნალის, ქვითრის ჩამოწერის ფორმის დამტკიცებას. ასევე მტკიცდება „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს კანონის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 209 3 და 242-ე მუხლებით გათვალისწინებულ შესაბამის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული

სამართალდარღვევის ოქმის შევსების, წარმოების, აღრიცხვა - ანგარიშგებისა და გასაჩვრების წესი“.

3. დადგენილების ძირითადი არსი:

წარმოედგენილი ცვლილების პროექტით, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის N3-14 დადგენილების პირველ პუნქტში შედის ცვლილება და დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე გამოსაყენებელ მუხლებს საქართველოს კანონიდან „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ ემატება შემდეგი მუხლები:

- 125-ე მუხლის მე-16 ნაწილი - „სატრანსპორტო საშუალების გზაზე მიტოვება - გამოიწვევ დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით“;
- 134 1 მუხლი. სამუშაოების საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის გარეშე ან სქემის დარღვევით წარმოება - „გზაზე, საგზაო ნაგებობაზე, მიწისქვეშა კომუნიკაციაზე ან

რკინიგზის გადასასვლელზე სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოება, ან ამ სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების წარმოებისას სატრანსპორტო საშუალების გზაზე განლაგება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის ან მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის მიერ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან (უწყებასთან) ერთად შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის (მათ შორის, დროებითის) გარეშე ან სქემის (მათ შორის, დროებითის) დარღვევით, ან არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირის წერილობითი მითითების შეუსრულებლობა – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 5 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების განმეორებით ჩადენა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 15 000 ლარის ოდენობით“.

 150 1 მუხლი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის თვითნებური შეცვლა -

„1. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული ტერიტორიის იერსახის თვითნებური შეცვლა, მათ შორის, შენობა-ნაგებობის ფერის შეცვლა, – გამოიწვევს დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, – გამოიწვევს დაჯარიმებას 5 000 ლარის ოდენობით.

3. სავენტილაციო სისტემის, ბანკომატის, სარეცხის საშრობის, გისოსების, ჯიხურების, დახლების ან/და სხვა მსუბუქი კონსტრუქციის თვითნებური მონტაჟი

ან/და განთავსება, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო

იურიდიული პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის დაჯარიმებას – 1000 ლარის

ოდენობით.

4. იგივე ქმედება, ჩადენილი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს

კანონით დადგენილ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 5000 ლარის ოდენობით.

5. ამ მუხლით გათვალისწინებული დარღვევის გამოუსწორებლობა დაჯარიმებიდან

20 დღის ვადაში, –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1500 ლარის ოდენობით“.

 152 5 მუხლი. ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავება

1. ამტვერებადი მასალის სველი მეთოდის გარეშე დამუშავება (დაჭრა, დაფქვა,

დახერხვა, დაქუცმაცება და სხვა), რაც მტვერჩახშობას ვერ უზრუნველყოფს, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული

პირის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული

პირის დაჯარიმებას – 2 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ამ კოდექსის 290-ე

მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში

სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისთვის ამ

მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ოდენობით. საურავის

დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში

სამართალდამრღვევის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება.

 152 6 მუხლი. მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეში ამტვერებადი მასლის

შეფუთვის გარეშე განთავსება

1. მშენებარე კონსტრუქციის ღია სივრცეში ამტვერებადი მასალის შეფუთვის (ფენილი, ბადე, საფარი) გარეშე განთავსება, რაც ამ მასალისგან წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრის თავიდან აცილებას ვერ უზრუნველყოფს, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისთვის ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება.

 152 7 მუხლი. ამტვერებადი მასალის ტრანსპორტირება

1. ამტვერებადი მასალის გადაუხურავი სატრანსპორტო საშუალებით ან/და არასათანადოდ გადახურული სატრანსპორტო საშუალებით გადაზიდვა, რაც ამ მასალისგან წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრის თავიდან აცილებას ვერ უზრუნველყოფს, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 500 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

3. ამტვერებადი მასალის დატვირთვა-გადმოტვირთვის ტერიტორიიდან ან/და სამშენებლო მოედნიდან ძარაგაურეცხავი ან/და საბურავგაურეცხავი სატრანსპორტო საშუალების გადაადგილება –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 2 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისთვის ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება.

 152 8 მუხლი. ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრა

1. ბეტონმზიდი მანქანის გადაადგილებისას ამ მანქანიდან ბეტონის გზის სავალ ნაწილზე დაღვრა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 1 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 2 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში

სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისთვის ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება.

 152 9 მუხლი. სამშენებლო მოედანზე შეუფუთავი ამტვერებადი მასალის ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის განთავსება

1. სამშენებლო მოედანზე შეუფუთავი ამტვერებადი მასალის ან/და არასათანადოდ შეფუთული ამტვერებადი მასალის იმგვარად განთავსება, რაც ვერ უზრუნველყოფს ამ მასალისგან წარმოქმნილი მყარი ნაწილაკების გარემოში მოხვედრის თავიდან აცილებას,

–

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 2 000 ლარის ოდენობით.

2. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირის დაჯარიმებას – 4 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ამ კოდექსის 290-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დაეკისრება საურავი ჩადენილი სამართალდარღვევისთვის ამ მუხლის შესაბამისი ნაწილით დაკისრებული ჯარიმის ოდენობით. საურავის დარიცხვიდან 30 დღის ვადაში ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევის მიმართ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განხორციელდება ჯარიმისა და საურავის გადახდის უზრუნველყოფის ღონისძიება.

156 1 მუხლი. პიროტექნიკური ნაკეთობის არასულწლოვნისთვის მიყიდვა

1. პიროტექნიკური ნაკეთობის არასრულწლოვნისთვის მიყიდვა –

გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 100 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული

პირისა – 200 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 წლის განმავლობაში, – გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 200 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდიული პირისა – 400 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლის მიზნებისათვის პიროტექნიკურ ნაკეთობაში იგულისხმება პიროტექნიკური შემადგენლობის ნაკეთობა, რომლის თავისუფალი გაყიდვა ნებადართულია და რომელიც განკუთვნილია სპეციალური სამუშაოების მიმდინარეობის, აგრეთვე მასობრივი, სადღესასწაულო (საზეიმო) ღონისძიებების ჩატარების დროს სინათლის, ხმის, კვამლის და კომბინირებული (მათ შორის, სასცენო) ეფექტების შესაქმნელად.

158 5 მუხლი. აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის გავრცელების, პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/მომსახურების) განთავსების ან/და აბრის განთავსების წესის დარღვევა

1. აზარტული თამაშობის, ტოტალიზატორის, ლოტოს, ბინგოს, აზარტული თამაშობის ორგანიზატორის, ტოტალიზატორის ორგანიზატორის, ლოტოს ორგანიზატორის და ბინგოს ორგანიზატორის რეკლამის გავრცელების ან/და აბრის განთავსების წესის დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 10 000 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირის მიერ იმავე ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა – გამოიწვევს დაჯარიმებას 20 000 ლარის ოდენობით.

შენიშვნა: ამ მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

ჩადენისთვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირი ვალდებულია ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან 1 კვირის ვადაში თავისი ხარჯით უზრუნველყოს იმ წესის/იმ წესების დაცვა, რომლის/რომელთა დარღვევის გამო მას ამ მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული სახდელი დაედო. ამ შენიშვნით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ამ მუხლით გათვალისწინებული შესაბამისი ჯარიმის გასამმაგებას.

წარმოდგენილი პროექტის თანახმად, „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და საქართველოს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 23 თებერვლის N3-14 დადგენილების ფაბულაში შედის ცვლილება და ემატება შემდეგი პუნქტები:

6 2 პუნქტი. რომლითაც დასამტკიცებლად წარმოდგენილია საჯარიმო ქვითრის ფორმა.

6 3 პუნქტი. აღნიშნული პუნქტით, დანართის სახით დასამტკიცებლად წარმოდგენილია საჯარიმო ქვითრის შევსების, წარმოების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩვრების წესი.

6 4 პუნქტი. დასამტკიცებლად წარმოდგენილია დანართი N9 - საჯარიმო ქვითრის აღრიცხვის ჟურნალი.

6 5 პუნქტი. აღნიშნული პუნქტით, მტკიცდება საჯარიმო ქვითრის ჩამოწერის ფორმა - დანართ N10-ის შესაბამისად.

გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება, რომ საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ (დოკუმენტის ნომერი: 2483-Xრს-Xმპ, მიღების თარიღი: 22.12.2022, სარეგისტრაციო ნომერი: 020000000.05.001.020770) გათვალისწინებული ცვლილებით, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას მიეკუთვნა ზოიერთი მუხლის განხილვის უფლებამოსილება, რომელსაც ადრე იხილავდა სასამართლო. მაგ. საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ 55 2 მუხლი.

„სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთის უნებართვოდ დაკავება ან/და

მიწათსარგებლობის უფლების გარეშე სარგებლობა“. აღნიშნულ სამართალდარღვევაზე,

მერიის შესაბამისი სამსახური ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის

ნაცვლად, ადგილზე განიხილავს სამართალდარღვევას და გადაცდომის გამოვლენის

შემთხვევაში, სამართალდამრღვევს საჯარიმო ქვითრით ადგილზე შეუთავსებს

ადმინისტრაციულ სახდელს.

4. პროექტის გავლენა დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტზე:

ა) განსახილველ პროექტს გავლენა არ ექნება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ) განსახილველი პროექტი პოზიტიურად აისახება ბიუჯეტის შემოსულობების

ნაწილზე.

აზრი გამოთქვეს:

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი დადგენილების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

3. მომხსენებელი : თემურ ტატულაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი დმანისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების ანგარიშის განხილვის შესახებ

2023 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის ფაქტიურმა შემოსულობებმა შეადგინა - 4438,6 ათასი ლარი; მათ შორის:

1. შემოსავლები- 4438,6 ათასი ლარი

2022 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაზრდილია, რაც გამოწვეულია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლით.

ინფორმაციისთვის:

2022 წლის პირველი კვარტლის ფაქტიური შემოსულობების ოდენობა დაფიქსირდა - 4106,7 ათასი ლარი , ფაქტიური შემოსავლები კი 4087,3ათასი ლარი

2022 წელთან შედარებით ფაქტიური შემოსულობები გაზრდილია 331,9 ათასი ლარით, ხოლო შემოსავლები გაზრდილია 351,3 ათასი ლარით

2. არაფინანსური აქტივების კლება - 0

3. ფინანსური აქტივის კლება 6022.0 ათასი ლარი.

შემოსავლები - 4438,6ათასი ლარი

- მათ შორის:

1. გადასახადები 3004,6
2. გრანტები - 683,6ათასი ლარი
3. სხვა შემოსავლები - 750,4ათასი ლარი

გადასახდელების მაჩვენებლები 4511,2 ათასი ლარი

- მათ შორის:

1. ხარჯები - 3734,5თასი ლარი (82,8%)
2. არაფინანსური აქტივების ზრდა - 776,7ათასი ლარი .(17,2%)
3. ვალდებულების კლება - (0. %)

ხარჯების მაჩვენებლები

- შრომის ანაზღაურება - 725.9ათასი ლარი (19,4%)
- საქონელი და მომსახურება - 654,5 ათასი ლარი (17.6%)
- პროცენტები - (0. %)
- სუბსიდიები -1038,9ათასი ლარი (27,8%)
- სოციალური უზრუნველყოფა - 254,6ათასი ლარი (6,8%)
- სხვა ხარჯები 160,4ათასი ლარი (4,3%)
- გრანტები 900,2ათასი ლარი (24,1%)
- 2023 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული ნაშთი შეადგენდა 6041071 ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან მიღებული ნაშთი 1 431 251 ლარი,ხოლო საკუთარი შემოსავლებიდან აუთვისებული ნაშთი 4 609 819 ლარი.

- მუნიციპალიტეტს 2023 წლის პირველ კვარტალში ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების მიზნით საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის შესაბამისად სარეზერვო ფონდი გათვალისწინებული იყო 30.0 ათასი ლარის ოდენობით, აქედან გახარჯულია 10 991 ლარი.

მათ შორის:
უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოში ერთი მოქალაქის მიღებით ერთჯერადი სახით გაცემული იქნა 500 ლარი.
საცხოვრებელი სახლების ხანძრის შედეგად დაზიანებული 4 ოჯახზე ერთჯერადი სახით გაიცა 3700 ლარი; სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავის აღსადგენად 1700 ლარი ; 2 მოქალაქის მკურნალობისათვის გაიცა 3000 ლარი; ერთი სტუდენტის სწავლის საფასურის გადახდისათვის 1241 ლარი;.
პრიორიტეტების ფაქტიური მაჩვენებლები

- მათ შორის:

  01.00 საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა - 1196,4ათასი ლარი (26,5%)

  02.00 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია - 1759,9ათასი ლარი (39,1%)

  03.00 დასუფთავება და გარემოს დაცვა -238,6ლარი (5,3%)

  04.00 განათლება 510,4 ათასი ლარი (11,3%)

  05.00 კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 484,4ათასი ლარი 10,7%)

06.00 მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 321,5ათასი ლარი 7,1%)

აზრი გამოთქვეს: პაატა ყულიაშვილმა, თორნიკე ნინიაშვილმა,

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.
მომხრე: 21
წინაღმდეგი:
4. მომხსენებელი : ლევან მანთაშაშვილმა საკრებულოს წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი ,,დმანისის მუნიციპალიტეტში 2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის მოწონების თაობაზე''დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 თებერვლის №გ-109.109230584 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

2023 წელს ადგილობრივი ბიუჯეტით განსახორციელებელი პროექტების ნუსხაში შესატანია შემდეგი ცვლილება, პუნქტი 8 „2023 რგფ და მთის ფონდის პროექტების თანადაფინანსება“ გაიზარდა 113991 ლარით, აქედან 77198 ლარი არის დმანისის მუნიციპალიტეტის სოფ განთიადიდან ქ. დმანისამდე გარე განათების მოწყობის სამუშაოების რგფ თანადაფინანსება და 36793 ლარი დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოსლებში სკვერის მოწყობის სამუშაოების თანადაფინანსება იზრდება 10% ის ფარგლებში.

პუნქტი 4 -ის „ქ. დმანისში 9 აპრილის ქ. N 167-ში კომუნალური სამსახურის შენობის რეაბილიტაცი“-ის შენიშვნა დაკორექტირდა შემდეგი სახით „პროექტის ღირებულება შეადგენს 737810 ლარს. აღნიშნული პროექტი დაფინასდება 207373 ლარით საქართველოს მთავრობის განკარგულებების საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის 2015–2022 წლებში გამოყოფილი თანხებიდან მორჩენილი ეკონომიით, 362500 ლარით 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით, ხოლო 167937 ლარი დაფინანსდეს 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით“.

აზრი გამოთქვეს: ლერი ბერუაშვილმა, თორნიკე ნინიაშვილმა , გუსეინ ისმაილოვმა

დაადგინეს: დამტკიცებული იქნას წარმოდგენილი განკარგულების პროექტი.

მომხრე: 24

წინაღმდეგი:

საკრებულოს წევრებს და სამოქალაქო განათლების პედაგოგ ნატა კვარაცხელიას და მოსწავლეებს შორის დიალოგი გაიმართა კითხვა პასუხის რეჟიმში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის გამო, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**

სხდომის მდივანი: ლომა გადრანი